



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ალექსანდრე II

ალექსანდრე II [17 (29). IV. 1818, მოსკოვი, – 1 (13). III. 1881, პეტერბურგი], რუსეთის იმპერატორი (1855–81), ნიკოლოზ I-ის უფროსი შვილი.

ყირიმის ომში (1853–56) რუსეთის დამარცხების შემდეგ შექმნილი საშინაო ვითარებისა და ეკონ. განვითარების მსვლელობის გავლენითაც მან გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმები (ბატონყმობის გაუქმება – 1861, საერობო, სასამართლო, საქალაქო და სხვა რეფორმები). საგარეო პოლიტიკაში ა. II-მ შეძლო აღედგინა ყირიმის ომით შეღაული პრესტიჟი, მიაღწია პარიზის 1856 საზავო ხელშეკრულების გაუქმებას. რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომის შედეგად საქართველოს შეუერთდა სამხრეთის ისტორიული მიწა-წყალი – არტაანი, ყარსი, ბათუმი ოლქებითურთ. 1871 ა. II-მ იმოგზაურა საქართველოში, იყო თბილისში, სადაც შეხვდა თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს, რ-ებმაც მას ადრესები მიართვეს სხვადასხვა თხოვნით, კერძოდ კადეტთა კორპუსის გახსნის შესახებ. 1881 წ. 1 მარტს მოკლეს „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრ. კომიტეტის განაჩენით.